სადემონტაჟო ბაქნის კონსტრუქციული დახასიათება - დასკვნა

ქ. თბილისი 10 მარტი 2021 წ.

სადემონტაჟო ობიექტი- „ ქ. თბილისში, რკინიგზის ცენტრალური სადგურის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი სამგზავრო ღია ტიპის ბაქანი (ს/კ 01.13.07.021.326)“.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერებმა, მშენებლობის ორგანიზების პროექტის ინჟინერმა ტარიელ სტურუამ და ინჟინერ-კონსტრუქტორმა ნუგზარ წერეთელაშვილმა 2021 წლის 10 მარტსვიზუალური შესწავლის საფუძველზე შევადგინეთ სადემონტაჟო ობიექტის „ ქ.თბილისში, რკინიგზის ცენტრალური სადგურის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი სამგზავრო ღია ტიპის ბაქნის (ს/კ 01.13.07.021.326)“საინჟინრო-კონსტრუქციული დახასიათება-დასკვნა, შემდგომში დემონტაჟის ორგანიზების პროექტის დამუშავებისა და საინჟინრო საესპერტო დასკვნების შედგენის მიზნით.

ვიზუალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

სადემონტაჟო ნაგებობა - ყოფილი სამგზავრო ღია ტიპის ბაქანი მდებარეობს ქ. თბილისში, რკინიგზის ცენტრალური სადგურის ტერიტორიაზე (ს/კ 01.13. 07.021.326).

სადემონტაჟო ნაგებობა წარმოადგენს ყოფილ სამგზავრო ღია ტიპის ბაქანს. დემონტაჟის პროექტით ხორციელდება ბაქნის სრული დემონტაჟი.

დემონტაჟს ექვემდებარება სადემონტაჟო ბაქნის კონსტრუქციები: 1) ბაქნის განათების ანაკრები რკ/ბეტონის ბოძები. 2)ბაქნის გადახურვის ფილები. 3) ბაქნის მზიდი საკედლე პანელები.4) ბაქნის საძირკვლები.

არსებული ტერიტორიის შემომსაზღვრელი ფურცლოვანი ფოლადის დროებითი ღობე(არსებული ოთხსართულიანი შენობის მხარეს) სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას თანმიმდევრობით იქნება დემონტირებული და სამუშაოების დამთავრების შემდეგ იქნება აღდგენილი.

სადემონტაჟო ბაქნის ტექნიკური მახასიათებლებია:

სადემონტაჟო ბაქანი არის ტრაპეციული ფორმის, ბაქნის სიგანე (ქვედა)

მზიდი კედლის პანელებს შორის ცვალებადია. ბაქნის გადახურვის ფილის

(იატაკის) კონსტრუქციული სიმაღლე მიწის დონიდან -1,2 მ.

სადემონტაჟო ბაქნის სავარაუდო მოცულობა შეადგენს 970 მ^3- ს.

ბაქნის კონსტრუქციული აგებულება შემდეგია:

საძირკვლები- ლენტური, მონოლითური რკ/ბეტონის. საძირკვლის სავარაუდო ჩაღრმავება მიწის დონიდან მაქსიმუმ 0,5მ-მდე.

მზიდი კედლები- ანაკრები რკ/ბეტონის საკედლე პანელების, ზომით 3 X1,5 მ.

გადახურვა- ანაკრები რკ/ბეტონის ფილების. ფილების სიგრძე (ბაქნის ზედა სიგანე) ცვალებადია. ფილების სიგანე 1,2 მ.

ბაქანი ერთი მხრიდან (არსებული შენობის მხარეს) შემოსაზღვრულია ფურცლოვანი ფოლადის დროებითი ღობით, სიმაღლით 2,0 მ. ღობეს აქვს ლითონის მილკვადრატის საყრდენები, რომლებიც არ ეყრდნობიან ბაქნის გადახურვის ფილებს და აქვთ დამოუკიდებელი ჩამაგრება მიწაში.

ბაქანთან მოწყობილია რამდენიმე ხის ასასვლელი პანდუსი, რომლებიც ექვემდებარება დემონტაჟს. დემონტაჟს ექვემდებარება ასევე ბაქნის გადამკვეთი დროებითი საჰაერო საკაბელო ელ. ხაზი.

სადემონტაჟო ბაქნის დროებითი შემოღობვის უკან, მეზობლად განლაგებულია არსებული ოთხსართულიანი შენობა, რომლის სავარაუდო ჩაღრმავება მიწის დონიდან შეადგენს 6,0 მ-ს და ის განლაგებულია ბაქნის საძირკვლების განლაგების დონის ქვემოთ 4,5 მ-ით (სავარაუდო) . ამ შენობის მეორე სართულის შუა ნაწილის დონე შეესაბამება ბაქნის იატაკის გადახურვის ფილის განლაგების დონეს.ბაქნის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების პროცესი არ გამოიწვევს ოთხსართულიანი შენობის არსებული მდგრადობის გაუარესებას.

მშენებლობის ორგანიზების პროექტის ინჟინერი ტ. სტურუა

ინჟინერ -კონსტრუქტორი ნ.წერეთელაშვილი